



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია,
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ):
9-10 მარტი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი:
22 მაისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი- საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ელექტრობა და ენერჯია 0713
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	55
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №509, 28.09.2012 წ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამაზ ბიჭიაშვილი (ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო)
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ტულუში (სსიპ- ბათუმის საზღვაო აკადემია, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლულუნიშვილი (სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით (ECTS). სტუ-ში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი კურსდამთავრებულს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 55 კრედიტანი სასწავლო კომპონენტის (მოიცავს სასწავლო დისციპლინებს: „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“; „თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში“; „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“; „ენერგეტიკული უსაფრთხოება-ელექტროენერგეტიკა“; „მდგრადი ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება“; „პროფესორის ასისტენტობა“; „თემატური სემინარი“; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები) ათვისებისა და კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) შესრულების შემთხვევაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი.

პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებულია ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტის, მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა და გდანსკის (პოლონეთი) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გამცდილებები.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ მიზანია:

- ცოდნის განვითარება და თანამედროვე გამოწვევების ახლებური გააზრება ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით.
- ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგში დაგროვილი ცოდნის გაფართოებასა და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, ახალ ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა შექმნასა და დანერგვაზე ორიენტირებული, აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე კვლევისა და პედაგოგიური საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება.

კურსდამთავრებული კვალიფიკაციით „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი“ დასაქმებას შეძლებს ენერგოსისტემის ობიექტებზე, უმაღლეს და პროფესიულ

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და კერძო საწარმოებში, ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით ორგანიზაციებში. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე თანამშრომლობას სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან საქართველოს ფარგლებს გარეთ და სხვა.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სათანადო ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადებას. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია სტუ-ს და სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან. პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2021 წლის 9 და 10 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 9 მარტს განხორციელდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრებები კი გაიმართა დისტანციურად. ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის სტუდენტებს; ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს; დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს.

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციის დამუშავებისას მოპოვებული ინფორმაციისა და ადგილზე ონლაინ ვიზიტის საფუძველზე დაადგინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა სრულ ან მეტწილ შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან.

პროგრამის დახასიათებაში გაწერილი მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული ზოგადი და სპეციალობის სპეციფიკური სასწავლო შედეგების სტანდარტებს.

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევას.

არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხელმისაწვდომია სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, ინტერნეტ-რესურსები). პროგრამაში ჩართულია კვალიფიკაციური აკადემიური პერსონალი.

შემუშავებულია მექანიზმები სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტთა გჯუფის მოსაზრებები პროგრამის გასაძლიერებელი მხარეების შესახებ მოცემულია ქვემოთ, რეკომენდაციებისა და რჩევების სახით.

▪ რეკომენდაციები

ექსპერტთა გჯუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა დოქტორანტთა ჩართვა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესებში რათა მათ შეძლონ თანამდროვე გამოწვევის (პროექტების, კონკურსების) შესახებ სტუდენტთა ინფორმირება და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.
- აუცილებელია სტუდენტთა ინფორმირება, როგორც აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის პროგრამით სარგებლობის, ასევე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ.
- დებულებაში დოქტორანტურის შესახებ უნდა ჩაიწეროს და პრაქტიკულად განხორციელდეს ხელმძღვანელის მხრიდან კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
- მიზანშეწონილია შემუშავდეს სადოქტორო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც იქნება ინფორმაცია შეფასების კომპონენტებისა და სამუშაო პროცესის შესახებ.
- პროგრამის ზოგი ლაბორატორია აღჭურვილია მოძველებული აპარატურით. პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის ახალ კორპუსში (მეცხრე კორპუსი) განთავსებულ National Instruments-ის უახლესი სასწავლო აპარატურით დაკომპლექტებულ ლაბორატორიებზე.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექსპერტთა გჯუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

- სასურველია დოქტორანტების მეტი ჩართულობა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესებში (მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის დონეზე).
- მეტი მუშაობა ჩასატარებელი სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ამაღლდეს მათ მიმართ ცნობადობა და დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი.
- სასურველია დოქტორანტებმა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შესახებ ერთი სტატია მაინც გამოაქვეყნონ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.
- სასურველია დოქტორანტს მისი კვლევის შედეგებზე ერთი სტატია მაინც ქონდეს გამოქვეყნებული თანაავტორების გარეშე.
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისას მეტი ყურადღება მიექცეს სადოქტორო დისერტაციის მიმართ მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ მოთხოვნებს საკითხის

აქტუალობის, სამეცნიერო სიახლის, კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის და სხვა ნორმების შესახებ.

- მეტი მუშაობა საჭირო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, საჭიროა დოქტორანთა მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციების მუშაობაში, სასურველია, აგრეთვე მოეწიოს თუნდაც ადგილობრივი კონფერენციები/ფორუმები სადაც დოქტორანები და კურსდამთავრებულები შეძლებენ პრაქტიკული გამოცდილებისა და სიახლეების ერთმანეთისათვის გაზიარებას.
- **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასზე**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და არასაკმარისი მტკიცებულებების გამო მიზანშეწონილად ჩათვალა ყველა რეკომენდაციისა და რჩევის დატოვება უცვლელი სახით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ მიზანია ცოდნის განვითარება და თანამედროვე გამოწვევების ახლებური გააზრება ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგში დაგროვილი ცოდნის გაფართოვებასა და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, ახალ ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა შექმნასა და დანერგვაზე ორიენტირებული, აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე კვლევისა და პედაგოგიური საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. პროგრამის მიზნებში

ასახულია აგრეთვე პროგრამის მიერ შეტანილი წვლილი სფეროს (ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობის და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ამაღლება) და საზოგადოების (ეკონომიკის დარგებისა და მოსახლეობის ენერგომომარაგების გაუმჯობესება) განვითარებაში.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს, როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე მეცნიერების, სფეროს, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან, ჩამოყალიბებულია ნათლად, არის რეალისტური და მიღწევადი. პროგრამა შეესაბამება სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამა საჯარო/ხელმისაწვდომია და გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ და პროგრამი-ს თვითშეფასების ანგარიში
2. სასწავლო კურსების სილაბუსები
3. შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
4. სსიპ სტუ-ს წესდება <https://gtu.ge/AboutStu/>, მისია <https://gtu.ge/AboutStu/> და სტრატეგიული განვითარების გეგმა <https://gtu.ge/AboutStu/>;
5. სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დებულება; <https://gtu.ge/pet/>
6. ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი“-ს კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის პროფესიით დასაქმების სფეროთა მოთხოვნებიდან (ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა, ახალი პროექტების იდენტიფიცირება და მათი განხორციელების გეგმის შემუშავება სოციალურ და გარემოსდაცვით ღონისძიებათა გათვალისწინებით. ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისება, კონკურენტული ბაზრისა და საინვესტიციო გარემოს შექმნა, ენერგოეფექტურ ღონისძიებათა გატარება და იმპორტირებული ენერგომატარებლების დივერსიფიცირება. სეზონური რეგულირების ახალი ჰესების მეშვეობით ქვეყნისათვის დამახასიათებელი სეზონური ენერგოდეფიციტის დაბალანსება, გაზსაცავის პროექტირება და მშენებლობა, წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვა. ქარის ენერჯის გამოყენების, ასევე ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივები) გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები (ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნით, ახალი ცოდნის შექმნაზე, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე და პედაგოგიურ საქმიანობაზე ორიენტირებული ინჟინერ მკვლევარებისათვის საჭირო უნარებისა და ჩვევების განვითარება) შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისი შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას/უნარებს/პასუხისმგებლობას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სათანადო დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალური.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციიდან გამომდინარე:

- პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, გათვალისწინებულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება, შეფასება გაზომვადი, მიღწევადი და რეალურია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და

<p>გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით და მოიცავს შეფასების ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, რითაც შესაძლებელია სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა;</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი გულისხმობს თითოეული სწავლის შედეგის შესაბამის სამიზნე ნიშნულებთან შედარებას; • პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირთათვის სწავლის შედეგების გაცნობას; • პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; • სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. • შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“-ს თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია; 2. დაცული სადოქტორო დისერტაციები; 3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი; 4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; 5. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. 6. ინტევიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აპლიკანტი უნდა ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, მას უნდა ჰქონდეს უცხო ენის (ინგლისური) ცოდნის - B2 დონე. აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში ან წარმოადგინოს უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც იქნება გამოკვეთილი აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. მათ უნდა გაიარონ გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო. აპლიკანტთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება: აპლიკანტის სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები</p>

(სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. მიღების პროცედურა ხორციელდება „სტუ-ში სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის“ შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით (ECTS). სტუ-ში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი შედგება 55 კრედიტისაგან (მოიცავს სასწავლო დისციპლინებს: „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“; „თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში“; „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“; „ენერგეტიკული უსაფრთხოება-ელექტროენერგეტიკა“; „მდგრადი ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება“; „პროფესორის ასისტენტობა“; „თემატური სემინარი“; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები). კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობაა, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. გათვალისწინებულია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით.

დისერტაციის დაცვა ტარდება საჯაროდ, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი ხელმისაწვდომია მისამართზე:

https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სილაბუსები; • პროგრამის აღწერა; • შეხვედრები სტუდენტებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან; • თვითშეფასების ანგარიში;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, რომელიც დოქტორანტმა უნდა გაიაროს პირველ და მეორე სემესტრში. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსებისათვის განსაზღვრულია 45</p>

კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსებისათვის - 10 კრედიტი.

არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ძირითად მიმართულებებს: „ელექტრული და სითბური ენერგიების გენერაციის თანამედროვე ტექნოლოგიები“; „ენერგოსისტემის განვითარების ოპტიმიზაცია“; „ენერგეტიკის მენეჯმენტის თავისებურებები და პრონციპები“; „ელექტროენერგეტიკული სისტემების თანამედროვე ელექტრული მანქანები და აპარატები“; „ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის სისტემები და ელექტრომაგნიტური თავსებადობა“; „ელექტროენერგეტიკული ობიექტების ჩაშენებული სისტემების პროგრამირება“, „ენერგეტიკული უსაფრთხოება - ნავთობი და გაზი“.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და/ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, რასაც ემსახურება სასწავლო კურსები: „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“, „პროფესორის ასისტენტობა“, „თემატური სემინარი“. ასევე, კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული სასწავლო კურსი „თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში“.

ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებს მომავალი სპეციალისტის პედაგოგიური საქმიანობისათვის საჭირო უნარებისა და ჩვევების განვითარებას, ამ მიმართულებით მაინც საჭიროა მეტი მუშაობა, დოქტორანტთა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესებში მეტი ჩართულობა.

კვლევით კომპონენტს წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო ნაშრომი ასახავს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას. კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ეტაპებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1 (მესამე სემესტრი); კოლოკვიუმი - 2 (მეოთხე სემესტრი); კოლოკვიუმი- 3 (მეხუთე სემესტრი); წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. გამოყენებულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რომელიც წარმოდგენილია სტუდენტის მიმდინარე აქტივობების შეფასებით, შუასემესტრული და დასკვნითი გამოცდით. შეფასება გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურის დონეს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია სტუ-ის საბიბლიოთეკო ფონდში ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით, რომელზეც სტუ-ს ყველა სტუდენტს აქვს თავისუფალი წვდომა. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც სილაბუსთა დიდ ნაწილში, ასევე ზოგიერთი დისერტაციების ბიბლიოგრაფიაში მითითებულია მოძველებული, ძირითადად რუსულენოვანი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკის ხელშეკრულებები; • სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; • შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია დოქტორანტების მეტი ჩართულობა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესებში (მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის დონეზე). • მეტი მუშაობაა ჩასატარებელი სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ამაღლდეს მათ მიმართ ცნობადობა და დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო (კვლევითი) შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა და ხელშეწყობა, რომ მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო საგრანტე პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, აქვს აგრეთვე მხარდაჭერა და ხელშეწყობა შრომების გამოქვეყნებაზე მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

ლექციების ჩასატარებლად ფაკულტეტზე დღესაც გამოიყენება უცხოელი ექსპერტების მოწვევის მდიდარი ტრადიციები.

მიუხედავად ამისა, პროგრამის თანდართული დოკუმენტების გაცნობიდან ჩანს, რომ ყველა დოქტორანტი არ იყენებს ამ შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციების თეზისების კრებულები. სტუ. <http://gtu.ge/Science/Conference/>
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, სტაჟირებასა და პრაქტიკაში ჩართულ პირებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დოქტორანტებმა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შესახებ ერთი სტატია მაინც გამოაქვეყნონ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.
- სასურველია დოქტორანტს მისი კვლევის შედეგებზე ერთი სტატია მაინც ქონდეს გამოქვეყნებული თანაავტორების გარეშე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის ძირითადი მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსების გამოყენება, ელექტრონული სწავლება და სხვ; მაგალითად, სასწავლო კურსში “თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში“ გამოყენებულია მეთოდები – ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა; სასწავლო კურსში „პროფესორის ასისტენტობა – დისკუსია/დებატები, დემონსტრირება, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, ვერბალური, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დაკვირვება; სასწავლო კურსში „მდგრადი ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება“ – ჯგუფური მუშაობა, ვერბალური, ახსნა-განმარტება, წერითი მუშაობა და ა.შ. სასწავლო კურსებში მითითებული მეთოდები შესაბამისობაშია შედეგების მიღწევისათვის დაგეგმილი აქტივობების შესაფასებლად გამოსაყენებელ მეთოდებთან.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

შერჩეული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> • სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები: http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aktivobebi.pdf • ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტის შეფასების სისტემა აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში. სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების ყველა კომპონენტი არის გამჭვირვალე, შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.</p> <p>შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) და ეცნობება სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.</p>

შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, გაწერილია სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხდება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ და ინფორმაცია აისახება უნივერსიტეტის პორტალზე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგად დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებებში არანაკლებ 30 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას. დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური დადებითი ქულა – 21.

პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვის დამთავრებისთანავე სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით. ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სადოქტორო ნაშრომი საჯაროდ დაცვამდე გადის შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე და სხვა ნაშრომებიდან ტექსტის ციტირების ნორმაზე. ნაშრომში პლაგიატის არსებობა ან და სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება არის დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო დისერტაციები სრულდება შერჩეული თემატიკის შესაბამისად საუნივერსიტეტო ლაბორატორიებში, სტუ-ს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ცენტრებში, პარტნიორ ორგანიზაციებში, დაცული დისერტაციების ექსპერტთა მიერ გადახედვის შედეგად აღინიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომების ბიბლიოგრაფიებში მითითებულია მოძველებული, ძირითადად რუსულენოვანი ლიტერატურა, ზოგიერთ ნაშრომში საერთოდ არაა გამოყენებული ციტირებები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს დისერტაციების გაფორმების შესაბამისობას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ თანამედროვე ფორმატთან, სადისერტაციო ნაშრომებში მეცნიერული სტილის დაცვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია:

<p>https://gtu.ge/Study-Dep/;</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge; • ელექტრონული სწავლების პორტალი https://elearning.gtu.ge; • შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სადოქტორო ნაშრომის შეფასებისას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სადოქტორო დისერტაციის მიმართ მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ მოთხოვნებს საკითხის აქტუალობის, სამეცნიერო სიახლის, კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის და სხვა ნორმების შესახებ.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროინჟინერიისა და ენერგეტიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. აკადემიური და პირად ინფორმაციას სტუდენტები იღებენ „vici.gtu.ge“-ის პორტალიდან, სადაც თითოეულ სტუდენტს პირადი გვერდი აქვს რომელზე წვდომასაც მომხმარებლით და პაროლით ახდენენ. „leqtori.gtu.ge“-ის ვებ გვერდზე მოცემულია ინფორმაციას აკადემიური ცხრილების, ჯგუფის ცხრილებისა და პედაგოგთა ცხრილების შესახებ, აღნიშნულ გვერდზე არის სასწავლო პროცესების მართვის ინსტრუქცია და სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ ინფორმაცია. „elearning.gtu.ge“-ის მეშვეობით მიმდინარეობს ელექტრონული სწავლება. სტუდენტებისთვის დასაქმებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხორციელდება.

სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც ეცნობებათ უნივერსიტეტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მიიღეს ინფორმაცია საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროინჟინერიისა და ენერგეტიკის სადოქტორო პროგრამის შემოწმებისას მატერიალურ ტექნოლოგიური ბაზის დათვალიერების შედეგან დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ლაბორატორიები პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად და სადისერტაციო ნაშრომისთვის ცდების ჩასატარებლად. ზოგიერთი მათგანი თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. მატერიალური ბაზის დათვალიერებისას ასევე სტუდენტთა ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანია ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანადგარებზე არ იყო ქართული მანიშნებლები დატანილი.

სტუდენტებთან საუბრისას დადგინდა, რომ ნაკლებად არიან ჩართულნი საერთაშორისო

აქტივობებში, საგრანტო პროექტებსა და კონფერენციებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ინფორმირების მიმართულება არის ერთ-ერთი სუსტი მხარე ამ მიმართულებით: არ იციან როგორ მიიღონ მონაწილეობა, როგორ შეავსონ საგრანტო აპლიკაცია და ა.შ.

